



საქართველო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1

27 ივლისი 2011 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 94

ინდივიდუალური მეწარმე „ვახტანგ გეგიაძე“-სა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების მოქმედების შეწყვეტის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ინდივიდუალური მეწარმე „ვახტანგ გეგიაძე“-სა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტს შორის, 2011 წლის 16 ივნისის №100 და 2011 წლის 21 ივნისის №113 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების მოქმედება შეწყდეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით და ქ.ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 23 ივლისის №10/ა-333 განჩინების საფუძველზე.

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, სიორიძის ქ.№14).

3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ალეკო მამეშვილი